

კახა კაციტაძე *HOMO MILITARIS* ადამიანი-მეომარი, ტომი I, თემი და საძმო, რედაქტ. ლელა გაფრინდაშვილი, “პოლიგრაფ თბილისი“, თბილისი, 2011, 304 გვ.

ეს წიგნი კახა კაციტაძის უკანასკნელი ნაშრომია, რომლის გამოქვეყნებას ავტორი ვერ მოესწრო. განათლებით და მოწოდებით ფილოსოფოსმა არამცირედი ენერჯია და ინტელექტუალური ძალისხმევა შეაღია სამხედრო საქმის თეორიული ასპექტების შესწავლას, ამ საქმეში მსოფლიო ისტორიული და თანადროული გამოცდილების (ფაქტების) ანალიზს და – არა ნაკლები ქართული აზროვნების ხასიათის პრობლემას განსხვავებულ მასალაზე და ფაქტებზე დაყრდნობით (მითოსი, ისტორიული გამოცდილება, რომანტიზმი...), რამაც დაგვირგვინება მის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „სტრატეგიის საფუძვლებში“ (2007) ჰპოვა. ამ წიგნში გამოჩნდა ფილოსოფოსის და, ასევე, ფართოდ განსწავლული ჰუმანიტარის თვალის (იხ. განსაკუთრებით თავი „ფილოსოფიური ბოლოთქმა“, გვ. 501-519). სამხედრო საქმეში - მის პრაქტიკასა და თეორიაში ჩაღრმავებამ ბუნებრივად დაბადა მასში ის ინტერესი, რომელიც მისი ამ უკანასკნელი წიგნის პათოსს შეადგენს. ვამბობთ პათოსს, რადგან ჰომო მილიტარის არა იმდენად რაციონალური განაზრების, არამედ შთაგონების ნაყოფია და თვალშისაცემი, საზრისთა პირველმიმგნების ემოციურობით არის დამუხტული. მსოფლიო მითოლოგიისა და ფოლკლორის, საკულტო გამოცდილების, რელიგიისა თუ ეთნოგრაფიის, თუ ბიოლოგიის (ნატურალიზმის) თითქოსდა განცალკევებული ფაქტები მის ინტუიციებში დალაგდა ერთ მთლიანობად და თავდაპირველი, შეიძლება ითქვას, განსჯამდელი სინთეზის სახე მიიღო. ხოლო წიგნში უკუპროცესს ვაკვირდებით: ყველა მოხმობილი ფენომენი ინტუიტივურად მიგნებული სინთეზის ნათელსაყოფად არის მოწოდებული. ეს წიგნის თავების დასათაურებიდანაც ჩანს. უფრო კონკრეტული რომ ვიყოთ ამ მოკლე მიმოხილვაში, მივაპყროთ ყურადღება თუნდაც ნადირობის ფენომენს, რომელსაც ავტორი სრულიად ორიგინალური კუთხით წარმოგვიდგენს. ეს მომენტი წიგნის, შეიძლება ითქვას, ცენტრალური ნაწილია და, ამდენად, ძირითადიც. თუ მეომრობა ადამიანის არა მხოლოდ აუცილებლობით გამოწვეული საქმიანობაა, არამედ მოწოდებაც (Beruf – ამ გერმანული სიტყვის ორგვარი მნიშვნელობით), ასეთივეა მონადირეობაც და ჩვენც ავტორის კვალზე შეგვიძლია ამ თემაზე დასაწერად ჩაფიქრებულ წიგნს „Homo venator ადამიანი-მონადირე“

ეწოდოს. „ნადირობასა და ომს შორის არსებობს სიღრმისეული, არსობრივი და სიმბოლური კავშირი“, წერს ავტორი და, თუმცა ნაცვლად იმისა, რაც მოსალოდნელი იყო, რომ მსჯელობა ნადირობასა და ომს შორის ტიპოლოგიური მსგავსების (ან თუნდაც იდენტობის) კუთხით წარემართა, „მონადირის მეომრად ქცევაზე“ ამახვილებს ყურადღებას. არა პარალელიზმი ამ ორ მოწოდება-საქმიანობას შორის, რაც გასდევს ადამიანის ისტორიას, არამედ მათ შორის გენეტიური კავშირი, უფრო ზუსტად, ერთისგან მეორის დაბადება. ომის პირველსახე, ასე ფიქრობს ჩვენი ავტორი, მონადირეზე (რომლის პირველსახეს, თავის მხრივ, მტაცებელი ნადირი წარმგვიდგენს) ნადირობაა. ან უფრო ზუსტად: ომი არის მონადირეთა ერთმანეთზე ნადირობა. მოვუსმინოთ მას თავად: „რა სახეს იღებს მონადირეზე ნადირობა? ცხადია, ორმხრივს. ეს არაა ცალმხრივი აქტი. მონადირე მონადირეზე თავად ნადირობს. ასეთი ნადირობა სხვა არაფერია, თუ არა ომი. ომი ორ მეტ-ნაკლებად ტოლი ძალის ერთმანეთზე ნადირობაა. ეს არაა ისეთი ვითარება, როგორც ვთქვათ, ირემზე ნადირობის შემთხვევაში, როდესაც ნათელია - ვინაა მონადირე და ვინაა მსხვერპლი... [ომი] ეს ორმხრივ მსხვერპლიანი თამაშია, ნადირობა... ორივე მხარე ერთმანეთზე ნადირობს“ (გვ. 168-169). აქედან გამომდინარე, არ არის შემთხვევითი, რომ მითოსურ თუ ფოლკლორულ გადმოცემებში ნადირობა, როგორც რისკის შემცველი საქმიანობა, რითაც ის ომს, ორთაბრძოლას ენათესავება, თავის კულმინაციაში (როგორც არის საგმირო-სამონადირეო ბალადის ე. წ. Gipfeltechnik) მსხვერპლით, ხშირად ორმხრივით, მთავრდება; ტრაგიკულ აღსასრულში გამარჯვება და მარცხი კარგავენ მნიშვნელობას. აქ მხოლოდ სინანულით გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ ავტორის განჭვრეტის არეში რატომღაც არ მოხვდა „ლექსი ვეფხვის და მოყმისა“, როგორც ნადირობის ბრძოლაში გადაზრდის საუკეთესო ილუსტრაცია. ეს მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ ამ წიგნის მკითხველს მოაკლდა ხალხური პოეზიის ამ შედეგის ახლებურად აღქმის შესაძლებლობა. სანაცვლოდ – და ეს მისი, როგორც ფილოსოფიურად მიდრეკილი ავტორის, პრიორიტეტული ნიშანია, რაც მსჭვალავს მთელ წიგნს, – წინ წამოსწევს, თუმცა თითქოს სასხვათაშორისოდ, რიგითი მკითხველისთვის მოულოდნელ ასპექტს ნადირობისა – სიბრძნის ძიებას, სიბრძნეზე ნადირობას. „ფილოსოფოსი მხოლოდ სიბრძნის მეგობარი და მოყვარული როდია. – წერს იგი, – ის სიბრძნეზე მონადირეცაა“ (გვ. 167). მისი დაკვირვებით, იოანე პეტრიწის მიერ მეცნიერების, საკუთრივ, ფილოსოფიის აღსანიშნავად გამოყენებული სიტყვა ზედმიწევნა ნადირობის ლექ-

სიკიდან არის მოხმობილი, რაც სავსებით ეთანხმება პლატონის ფილოსოფიურ ენაში ჭეშმარიტების ძიების მეტაფორად ნადირობის ამსახველი ლექსიკის მრავალჯერად გამოყენებას (იხ. ლოსევის გამოკვლევა ამ თემაზე: История античной эстетики, том III, 1974). ნიკოლაუს კუზელის ნაშრომის „სიბრძნეზე ნადირობასთან“ ერთად შეიძლება განხილულიყო გერმანელი მისტიკოსის მაისტერ ეკჰარტის ქადაგება, სადაც ის ლაპარაკობს მხურვალზე მონადირეზე, რომლის ნანადირევი ქრისტეა. ასეთ მოულოდნელ სუბლიმაციას იძენს ეს თავისი წარმოშობით პრაგმატული, ყოფით-სასიცოცხლო, თანაც აგრესიული საქმიანობა, როგორც ნადირობაა. თუმცა სწორედ ამ აგრესიულობის გამოა, რომ მას საკრალურობა მოსავს, როგორც მის ორეულს - ომს და ყველაფერს, რაც კი მასთან არის დაკავშირებული, იარაღიდან დაწყებული. იარაღისა და მისი მტარებლის საკრალურობას თუ მაგიას ცალკე პასაჟები ეძღვნება (გვ. 225-დან) და მოიცავს ტიპოლოგიურად ზედმიწევნით მსგავს - სკანდინავურ და ფშავ-ხევსურულ სამყაროებს, ასევე უწევს მას საუკუნეების სიღრმეში წიაღსვლაც – ადრერკინის ხანის სარტყელებზე გამონახული მეომარი ფიგურების დამოწმებით, გვთვაზობს რა ამ სახვითი ტექსტების კიდევ ერთ საგულისხმო ინტერპრეტაციას. სრული სიახლეა, და ამდენადვე ნაყოფიერი, მტაცებელ (resp. მონადირე) ცხოველთა (დათვი, მგელი, ტახი, ლომი...) მანერების დაკავშირება მეომარი ხალხებისთვის დამახასიათებელ ომის წარმოების ტიპთან და არქაული სამხედრო სიმბოლიკის საზრისთან. და კიდევ ბევრი სხვა მომენტებია საყურადღებო ამ მრავალმხრივი ინფორმაციებით და მიგნებებით დატვირთულ წიგნში, რომელსაც, როგორც განზრახული ჰქონდა ავტორს, მომდევნო ტომები უნდა მოჰყოლოდა. და რაოდენ დასანანიცა, რომ ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

ზურაბ კიკნაძე

BRIEF REVIEWS

Nino Doborjginidze. Linguistic-Hermeneutical Metatexts: Practical Grammar and Hermeneutics in 10th-13th Century Georgian Sources. Appendix I: Antiochian Manuscripts, Appendix II: The Metatexts of Ephrem Mtsire, Ilia State University, Tbilisi, 2012, 252 pp. (In Georgian)

The Old Georgian philological tradition includes the practice of commenting on texts, developing a textological apparatus, and preparing publications. At the same time, this tradition has a clear-cut conceptual aspect, which is the main subject of this book. (Zurab Kiknadze)

Kakha Katsitadze. HOMO MILITARIS: Man the Warrior, Vol. 1, Community and Brotherhood, Polygraph Publishers Tbilisi, Tbilisi. 2011, 304 pp. (In Georgian)

This book attempts to reveal the relationship between predator behaviour (bear, wolf, boar, lion, etc.) and the type of warfare practiced by combatant peoples. It also discusses archaic military symbols in the same light. This work, which offers a vast amount of information and original findings, was planned to be continued in following volumes, but the author's intention has remained unfulfilled. (Zurab Kiknadze)

Georgian Hagiographical Texts: Old Georgian Texts and their Versions in Modern Georgian, Vol. 1, Tbilisi, 2008; Vol. 2, Tbilisi, 2007; Vol. 3, Tbilisi, 2008. (In Georgian)

Old Georgian can be seen as a linguistic system almost independent of modern Georgian in terms of grammatical structure and vocabulary. Therefore, some old Georgian texts are sometimes quite difficult for a modern reader to understand, their sophisticated meaning being only part of the challenge. Along with its practical value – that is, comprehension at a language level – translations of old Georgian texts into modern Georgian also have a significant cognitive function as they contribute to the enrichment of the field in question with relevant terms and means of expression. (Nugzar Papuashvili)